

შპს „პირველი სავაჭრო სახლი“

ს/ნ 237075696

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|                                                                             |   |
|-----------------------------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრი მდგომარეობით ----- | 3 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -----      | 4 |
| კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2019 წლი 31 დეკემბრის მდგომარეობით -----       | 5 |
| სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----                  | 6 |

შპს „პირველი სავაჭრო სახლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება<br>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით<br>თანხები მოცემულია ერთეულ ლარში | შენიშვნები | 31-დეკ-19      | 31-დეკ-18      |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                                                                                             |            |                |                |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                                                                                 | 6          | 338708         | 207796         |
| გადახდილი ავანსები                                                                                          | -          | -              | -              |
| სავაჭრო მოთხოვნები                                                                                          | 7          | 114527         | 125820         |
| მარაგები                                                                                                    | 8          | 1065966        | 868557         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                                                                               |            | <b>1519202</b> | <b>1202173</b> |
| ძირითადი საშუალებები                                                                                        | 9          | 2157601        | 2149552        |
|                                                                                                             |            | <b>3676803</b> | <b>3351725</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                                                                         |            |                |                |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                                        |            |                |                |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                                       | 10         | 680622         | 494091         |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                                          | 11         | -              | -              |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                                  | 12         | 13714          | 34538          |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                                                                          |            | <b>694336</b>  | <b>528629</b>  |
| გრძელვადიანი ვალი                                                                                           | 13         | 1201687        | 1012953        |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                                                    |            | <b>1896022</b> | <b>1541582</b> |
| <b>კაპიტალი</b>                                                                                             |            |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                                                                                          |            | 566720         | 941720         |
| ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი                                                                     |            | -              | -              |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი                                                                                 |            | 1214060        | 868424         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                                                                         |            | <b>1780780</b> | <b>1810143</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულება</b>                                                                          |            | <b>3676803</b> | <b>3351725</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ

ირაკლი სირაძე

დირექტორი

თარიღი 25.09.2020

6-16 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „პირველი სავაჭრო სახლი“  
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
 2019  
 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის  
 ერთეულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

|                                          | შენიშვნები | 12 თვე, 2019 წელი |
|------------------------------------------|------------|-------------------|
|                                          |            | 11561988          |
| ნეტო ამონაგები                           | 14         |                   |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება    | 15         | (9154013)         |
| <b>მთლიანი მოგება</b>                    |            | <b>2407975</b>    |
| სხვა შემოსავალი                          | 16         | 5810              |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | 18         | (835022)          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     | -          | (331504)          |
| იჯარის ხარჯი                             | -          |                   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 17         | (812965)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 |            | <b>434295</b>     |
| ფინანსური ხარჯი                          | 19         | (88658)           |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                |            | <b>345637</b>     |
| მოგების გადასახადი                       |            | -                 |
| <b>პერიოდის მოგება</b>                   |            | <b>345637</b>     |
| სხვა სრული შემოსავალი                    |            | -                 |
| <b>პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი</b> |            | <b>345637</b>     |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ

ირაკლი სირაძე  
 დირექტორი

თარიღი 25.09.2020

6-16 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების  
განუყოფელი ნაწილია.

შპს „პირველი სავაჭრო სახლი“  
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
 2019  
 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის  
 ერიუფო ლარში

| კაპიტალის მოძრაობის უწყისი<br>ბალანსი 31.12.2018 | შენიშვნები | საწყისი<br>კაპიტალი | მირითადი<br>საშუალოების<br>გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | დაუფარავი<br>ზარალი | ჯამი     |
|--------------------------------------------------|------------|---------------------|---------------------------------------------------|-------------------------|---------------------|----------|
|                                                  |            |                     |                                                   |                         |                     |          |
| წლის წმინდა მოგება (ზარალი)                      |            | -                   |                                                   | 345637                  |                     | 345637   |
| კაპიტალის დამატება (შემცირება)                   |            | (375000)            |                                                   | -                       |                     | (375000) |
| ბალანსი 31.12.2019                               |            |                     |                                                   | 1214060                 |                     | 1780780  |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ  
 ირაკლი სირაძე  
 დირექტორი  
 თარიღი 25.09.2020

6-16 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განყოფილება ნაწილია.



## სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### შენიშვნა 1 - ძირითადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პირველი სავაჭრო სახლი“ კანონით დადგენილი წესით დაფუძნდა და დარეგისტრირდა 2006 წლის 6 აპრილს, მარეგისტრირებელი ორგანოს - ფოთის საგადასახადო ინსპექციის მიერ. რეგისტრაციისას ორგანიზაციას მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი - 237075696. დღეის მდგომარეობით, საწარმოს მესაკუთრე - 100% წილის მმართველი არის: მაია ბერიძე (პ/ნ 33001009205);

კომპანია ახორციელებს საცალო ვაჭრობას, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით, საცალო ვაჭრობა ხორცილთ და ხორცის პროდუქტებით, ასევე კომპანიის არაძირითადი საქმიანობაა საკუთარი არასაცხოვრებელი უძრავი ქონების იჯარით გაცემა;

დღეისთვის კომპანია საქმიანობას ახორციელებს ქალაქ ოზურგეთში, ერისთავის ქ, №8-ში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2020 წლის 24 სექტემბერს.

### შენიშვნა 2 - მომზადების საფუძველი

საწარმოს თანდართული ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდრტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდრტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიას მანამდე არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება ფინანსური აღრიცხვის სხვა რომელიმე სტანდარტის მიხედვით. ვინაიდან, კომპანიას არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება შესადარისი პერიოდებისათვის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების მიხედვით, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს განმარტებებს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ მის გაცხადებულ ფინანსურ მდგომარეობაზე, შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

### შენიშვნა 3 - ფუნქციონირებადი საწარმო

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ მომგებიანია. ფინანსური რესურსები მისთვის ხელმისაწვდომია. ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

1. „კომპანია“ წარსულშიც და დღესაც მომგებიანია;
2. 2019 წელს „კომპანიამ“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი ფინანსური სამიანობის განსახორციელებლად;
3. 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;

### შენიშვნა 4 - სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

#### (ა) მოხსენების შესაბამისობა

კომპანიის მიერ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ხდება პირველად, წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება არ ყოფილა წარდგენილი. კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით, რაზეც დაყრდნობით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი კომპანიისთვის არის 2018 წლის 1 იანვარი.

#### (ბ) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია იყენებს ვალუტას, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ გარემოში, სადაც აღნიშნული კომპანია ახორციელებს საქმიანობას. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), რომელიც არის კომპანიის საანგარიშგებო და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხა ქართულ ლარში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდა ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში მოგების ან ზარალის ფულადი სახსრების ამორტიზებული ღირებულება საანგარიშო კურსით წლის დასაწყისში განსხვავდება ამორტიზებული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებული საკურსო სხვაობისგან, წლის ბოლოს.

### (გ) ძირითადი საშუალებების აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა-ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ცვეთა და გაუფასურება. მიწის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით და მას არ ერიცხება ცვეთა. გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისაგან.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება უწინ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასებისას მისი ოდენობის შემცირების აღდგენა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალების ღირებულება მოიცავს უშუალოდ აქტივის შეძენის დანახარჯებს, საკუთარი ძალებით აგებული აქტივების ღირებულება მოიცავს:

- მასალების ღირებულება და პირდაპირი მუშაობის ხარჯები;
- ნებისმიერი სხვა ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება მიღებული აქტივების მუშა მდგომარეობაში მოყვანას.
- როდესაც კომპანიას გააჩნია ვალდებულება შეცვალოს აქტივი ან მოიყვანოს საწყის მდგომარეობაში, შეაფასოს დემონტაჟის ხარჯები წინასწარ და გაითვალისწინოს აქტივის ღირებულებაში;
- კაპიტალიზირებული სესხების ხარჯები;

ღირებულება ასევე მოიცავს კაპიტალის გადარიცხვების, ნებისმიერ მოგებას ან ზარალს, უცხოური ვალუტით შესყიდულ ქონებას, მოწყობილობებსა და აღჭურვილობას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც არის განუყოფელი ფუნქციონალური მონათესავე მოწყობილობა და კაპიტალიზირებულია როგორც აღჭურვილობის ნაწილი.

### ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება, ან იმ შემთხვევაში თუ საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებასთან გვაქვს საქმე, იმ თარიღიდან როცა გამოყენებისთვის მზად არის აქტივი.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადები ასეთია:

- შენობები 10-30 წელი
- კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები 5 წელი
- მანქანები და მოწყობილობები 10 წელი
- ავეჯი და ინვენტარი 5 წელი

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მოქმედების ვადა და ნარჩენი ღირებულება განიხილება ყოველი ანგარიშგების დღეს და კორექტირდება საჭიროების მიხედვით.

#### (დ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული.

„კომპანია“ არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შედეგად. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

„კომპანია“ შეზღუდული სასარგებლო მომსახურებს ვადის მქონე არამატერიალურ აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად.

#### (ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის ღირებულებით.

მარაგების ღირებულება მოიცავს შეძენის ხარჯებს, წარმოების ან კონვერტაციის ხარჯებს, და ასევე სხვა გაწეულ ხარჯებს, რაც საჭიროა ადგილმდებარეობამდე მისატანად. იმ შემთხვევაში, თუ წარმოებულ მარაგებზე მუშაობა მიმდინარეობს, ღირებულება მოიცავს შესაბამის წილ წარმოების ზედნადების ხარჯებსაც.

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისთვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

### (ვ) დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

მომუშავეთა მოკლევადიანი ვალდებულებების შეფასება ხდება დისკონტირების გარეშე და გამოიქვეთება როგორც მიმდინარე ხარჯი. ვალდებულება აღიარდება იმ თანხით, რომელიც სავარაუდოდ გადასახდელი იქნება როგორც მოკლევადიანი ფულადი პრემია ან მოგებიდან მიღებული შემოსავლის განაწილება, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება დასაქმებულის მიმართ გადაიხადოს ეს თანხა ახლა ან წარსულში გაწეული მომსახურებისათვის, და ამ შემთხვევაში ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

### (ზ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება წარსულში მომხდარი მოვლენის საფუძველზე. კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც შეიძლება შეფასდეს საიმედოდ და ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება საჭიროა ვალდებულების შესასრულებლად. ანარიცხები განისაზღვრება დისკონტირებით მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების წინასწარი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც ასახავს მიმდინარე საბაზრო შეფასებებს, დროისა და ფულის ღირებულებასა და დამახასიათებელი ვალდებულების რისკებს.

### (თ) ერთობლივი შემოსავალი

#### საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ჩვეულებრივ საქმიანობად ფასდება და იზომება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, წმინდა ამონაგებით და სავაჭრო ფასდაკლების გათვალისწინებით. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრება უკვე გადაეცემა მომხმარებელს. ანაზღაურების მიღება, ასოცირებული ხარჯები და საქონლის შესაძლო უკან დაბრუნების უფლება მიიჩნევა საიმედოდ, თუ არ საჭიროებს მენეჯმენტის უწყვეტ ჩართულობას საქონელთან მიმართებაში და მისაღები თანხაც შეიძლება ჩაითვალოს საიმედოდ. თუ არსებობს ეჭვი, რომ მოხდება ფასის დაკლება და თანხის ოდენობა შეგვიძლია ჩავთვალოთ საიმედოდ, მაშინ ფასდაკლება აღიარებულია, როგორც გაყიდვების შემოსავლების აღიარების შემცირება.

### (ი) ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

### (კ) გადასახადები

#### (კ.ა) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

**(კ.ბ) დამატებული ღირებულების გადასახადი**

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

**(კ.გ) საშემოსავლო გადასახადი**

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე გადასახადების დავალიანების მუხლში.

**(ლ) იჯარა**

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება ფასდება იმისდა მიხედვით, მისი შესრულება დამოკიდებულია თუ არა გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე ან შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

**კომპანია, როგორც მოიჯარე**

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის

განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა კომპანიის მიერ საიჯარო

11

ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლი ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

**(მ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

ბალანსის ახსნა-განმარტებები

შენიშვნა 6 -ფული და ფულის  
ექვივალენტები

|                         | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|-------------------------|------------|------------|
| ნაღდი ფული ლარში        | 228632     | 186018     |
| ნაღდი ფული დოლარში      | 34647      | 9088       |
| სულ ნაღდი ფული ბანკში   | 263279     | 195106     |
| ნაღდი ფული სალაროში     | 3433.37    | 12690      |
| სულ ნაღდი ფული სალაროში | 3433.37    | 12690      |

შენიშვნა 7 - სავაჭრო მოთხოვნები  
დებიტორული დავალიანება  
სულ სავაჭრო მოთხოვნები

|  | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|--|------------|------------|
|  | 114527     | 125820     |
|  | 114527     | 125820     |

მპს „პირველი სავაჭრო სახლი“  
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
2019

წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის  
ერთეულ ლარში

შენიშვნა 9 – ძირითადი საშუალებები

| საწყისი საბალანსო<br>ღირებულება                         | მიწა    | შენიშნები და<br>ნაგებობები | მანქანა<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ავეჯი და<br>მცირეფასიანი<br>ინვენტარი | ჯამი      |
|---------------------------------------------------------|---------|----------------------------|------------------------|-----------------------|-----------------------------|---------------------------------------|-----------|
| ბალანსი 2018 წელი 31<br>დეკემბერი                       | 126238  | 1 796 783                  | 883332                 | 175936                | 132 044                     | 216728                                | 3331061   |
| შეძენა 2019 წელი<br>გასვლა                              | -       | -                          | 301623                 | 37930                 | -                           | -                                     | 339553    |
| ბალანსი 2019 წელი 31<br>დეკემბერი                       | 126 238 | 1 796 783                  | 1184955                | 213866                | 132 044                     | 216 728                               | 3 331 061 |
| დაგროვილი მვეთა<br>ბალანსი 2018 წელი 31<br>დეკემბერი    | -       | (727083)                   | (324163)               | (49910)               | (39839)                     | (45791)                               | (1186787) |
| მვეთა 2019 წელი                                         | -       | (99696)                    | (147369)               | (38494)               | (11582)                     | (32975)                               | (330118)  |
| ბალანსი 2019 წელი 31<br>დეკემბერი                       | -       | (826779)                   | (471532)               | (88404)               | (51421)                     | (78766)                               | (1516904) |
| ნარჩენი ღირებულება<br>ბალანსი 2018 წელი 31<br>დეკემბერი | 126238  | 1069700                    | 559169                 | 126026                | 92205                       | 170936                                | 2144274   |
| ბალანსი 2019 წელი 31<br>დეკემბერი                       | 126 238 | 970003                     | 713422                 | 125462                | 80622                       | 137962                                | 2153709   |

შპს „პირველი სავაჭრო სახლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019

წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

|                                     |            |            |
|-------------------------------------|------------|------------|
| შენიშვნა 10 - სავაჭრო ვალდებულებები | 31.12.2019 | 31.12.2018 |
| ვალდებულებები მოწოდებიდან           | 680622     | 494091     |
| სულ ვალდებულება                     | 680622     | 494091     |
| შენიშვნა 11 - ვალდებულებები         |            |            |
| თანამშრომელთა მიმართ                | 31.12.2019 | 31.12.2018 |
| გადასახდელი ხელფასები               | -          | -          |
| ჯამში ვალდებულებები                 |            |            |
| თანამშრომელთა მიმართ                | -          | -          |
| შენიშვნა 12 - საგადასახადო          |            |            |
| ვალდებულებები                       | 31.12.2019 | 31.12.2018 |
| ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში          | 13714      | 34538      |
| ჯამში საგადასახადო ვალდებულებები    | 13714      | 34538      |
| შენიშვნა 13 - გრძელვადიანი ვალი     | 31.12.2019 | 31.12.2018 |
| სს პროგრედიტ ბანკი                  | 1201687    | 1012953    |
| ჯამში გრძელვადიანი სესხები          | 1201687    | 1012953    |
| შენიშვნა 14 - შემოსავალი            | 31.12.2019 |            |
| შემოსავალი რეალიზაციიდან            | 11445510   |            |
| შემოსავალი იჯარიდან                 | 116478     |            |
| სულ მიღებული შემოსავალი             | 11561988   |            |
| შენიშვნა 15 - რპთ                   | 31.12.2019 |            |
| გაყიდული საქონლის                   |            |            |
| თვითღირებულება                      | 9154013    |            |
| სულ რპთ                             | 9154013    |            |
| შენიშვნა 16 - სხვა შემოსავალი       | 31.12.2019 |            |
| სხვა შემოსავალი                     | 5810       |            |
| სულ სხვა შემოსავალი                 | 5810       |            |

შენიშვნა 17 - ადმინისტრაციული და  
სხვა საოპერაციო ხარჯები

|                               | 31.12.2019 |
|-------------------------------|------------|
| მიწოდების ხარჯები             | 77751      |
| საკონსულტაციო ხარჯი           | 13398      |
| კომპიუტერის ხარჯები           | 42116      |
| ბანკის საკომისიო              | 317391     |
| რემონტი                       | 142811     |
| კომუნალური ხარჯები            | 183582     |
| ქონების გადასახადის ხარჯი     | 21933      |
| საპენსიო გადასახადის ხარჯი 2% | 13201      |
| ტრანსპორტირების ხარჯი         | 782        |

სულ ადმინისტრაციული და სხვა  
საოპერაციო ხარჯები

812965

შენიშვნა 18 - დასაქმებულთა ანაზღაურება

|                              | 31.12.2019 |
|------------------------------|------------|
| დასაქმებულთა ანაზღაურება     | 835022     |
| სულ დასაქმებულთა ანაზღაურება | 835022     |

შენიშვნა 19- საპროცენტო ხარჯი

|                        | 31.12.2019 |
|------------------------|------------|
| ბანკის სესხის პროცენტი | 88658      |
| სულ საპროცენტო ხარჯი   | 88658      |

შენიშვნა 20 - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ

ირაკლი სირაძე  
დირექტორი

თარიღი 25.09.2020